ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

შემოქმედებითი კავშირები

საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო

საგრანტო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2024 წლის 7 ივლისი, 23:59 საათი**

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი “შემოქმედებითი კომპასი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია 4

1.1 „შემოქმედებითი კომპასი“ 4

1.2 საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმოხილვა და ამოცანები 4

2. გასაცემი გრანტების მოცულობა 5

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები 6

3.1 მონაწილის პროფილი 6

3.2 თანამშრომლობითი ინიციატივების შესაძლო ფორმები 7

4. განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა 7

4.1 განაცხადის ფორმა 7

4.2 განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა 8

5. წარდგენილი განაცხადების შეფასება 9

6. საკონტაქტო ინფორმაცია 9

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია

1.1 „შემოქმედებითი კომპასი“

„შემოქმედებითი კომპასი“ საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერებას ისახავს მიზნად, რაც, საერთო ჯამში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს, იქნება ეს რეგიონების შემოქმედებითი რესურსების წარმოჩენა, გაძლიერება და გამოყენება, შემოქმედებითი სივრცეების განვითარება, დაფინანსების საშუალებების შექმნა, მეწარმეობის ხელშეწყობა თუ სექტორთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. გარდა ამისა, პროექტი რეგიონებში მცხოვრები ხელოვანების, შემოქმედებითი ადამიანებისა და კულტურის პროფესინალებისთვის ბიზნესის განვითარების საშუალებებს ქმნის, რაც, თავის მხრივ, ქალაქთაშორის თანამშრომლობას გააღრმავებს.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

1.2 საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმოხილვა და ამოცანები

შემოქმედებითი კავშირები პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ ახალი საგრანტო კომპონენტია, რომელიც საქართველოს რეგიონების შემოქმედებით სექტორში ახალი შესაძლებლობების გაჩენას, ცოდნის გაცვლასა და თანამშრომლობითი კავშირების გაღრმავებას უწყობს ხელს.

საგრანტო პროგრამა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

მიმართულება 1. შემოქმედებითი კავშირები ფიზიკური პირებისთვის
დამოუკიდებელ ხელოვანებს, შემოქმედებს, სათემო ლიდერებსა და კულტურის პროფესიონალებს ქვეყნის შიგნით მობილობას სთავაზობს, რის ფარგლებშიც ისინი კვლევას, თანაშექმნას, წარმოებასა და საჯარო ღონისძიებების მასპინძლობას შეძლებენ. ჯგუფი მინიმუმ ორ ან მეტ მონაწილეს უნდა მოიცავდეს.

მიმართულება 2. შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციებისთვის
ორგანიზაციებს, სათემო, კულტურული და შემოქმედებითი ინიციატივების, ასევე, სახელოვნებო რეზიდენციების განხორციელებაში უჭერს მხარს. ეს მიმართულება ორიენტირებულია ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოს რეგიონებში საქმიანობენ.

ორგანიზაციების მიერ განაცხადების წარდგენა აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შემდეგი ორი ლოტიდან ერთ-ერთ აქტივობაზეა შესაძლებელი:

ლოტი 1: ***შემოქმედებითი სივრცეებისა და კულტურის ორგანიზაციების მხარდაჭერა***

- ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც თანამშრომლობას სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფებს შორის, ასევე საზოგადოების ჩართულობას კულტურულ აქტივობებში.

ლოტი 2: ***მხარდაჭერა სახელოვნებო რეზიდენციების მასპინძელთათვის***

- ინიციატივები, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციები მოიწვევენ და უმასპინძლებენ ხელოვანებსა და კულტურის პროფესიონალებს.

ხელშეწყობის აღნიშნული მექანიზმებით, საგრანტო კონკურსი **შემოქმედებითი კავშირები** კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში პროფესიულ ურთიერთობებს გააღრმავებს და დამოუკიდებელ ხელოვანებს, კულტურის პროფესიონალებს, სათემო ლიდერებსა და ორგანიზაციებს როგორც საქართველოში არსებული გამოწვევების, ასევე შესაძლებლობების გააზრებაში დაეხმარება. საერთო ჯამში, ეს ინიციატივა საქართველოს რეგიონებში ინოვაციური შემოქმედებითი წამოწყებების სტიმულირებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

2. გასაცემი გრანტების მოცულობა

მიმართულება 1.

შემოქმედებითი კავშირები ფიზიკური პირებისთვის

წარმატებული საგრანტო განაცხადის წარმდგენი თითოეული ფიზიკურ პირთა გაერთიანება (მინიმუმ ორი ან მეტი მონაწილე გუნდში) მიიღებს გრანტს 3,000 ევროს ოდენობით, ერთიანი გადახდის ფორმით (ე.წ. Lump Sum). გრანტის თანხა ჩაირიცხება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ.

მიმართულება 2.

შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციებისთვის

წარმატებული საგრანტო განაცხადის წარმდგენი თითოეული ორგანიზაცია მიიღებს გრანტს 6,000 ევროს ოდენობით, ერთიანი გადახდის ფორმით (ე.წ. Lump Sum). გრანტის თანხა ჩაირიცხება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადა მაქსიმუმ სამ თვიან პერიოდს მოიცავს, 2024 წლის ივლისიდან ამავე წლის სექტემბრის ჩათვლით. ინიციატივების მიმდინარეობა საგრანტო პერიოდის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ანგარიშგების სახით, განხორციელებული აქტივობების საანგარიშო დოკუმენტაცია ოქტომბრის ბოლომდე მიიღება.

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

3.1 მონაწილის პროფილი

მიმართულება 1.

შემოქმედებითი კავშირები ფიზიკური პირებისთვის

- საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ პირთა დამოუკიდებელ გაერთიანებას, რომელშიც ორი ან მეტი პირი ერთიანდება. ფიზიკური პირები საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები უნდა იყვნენ.
- სავალდებულოა, რომ ფიზიკურ პირთა მიერ წარმოდგენილი განაცხადი მუდმივი საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გარეთ უნდა ხორციელდებოდეს. შესაბამისად, საქართველოს რეგიონების მასშტაბით გეოგრაფიული არეალის შეცვლის სურვილი და მზაობა აუცილებელია. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება აქტივობები მხოლოდ საქართველოს რეგიონებში, დედაქალაქ თბილისის გამოკლებით.
- განმცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათ მიერ ან/და მათი ჩართულობით განხორციელებული უახლესი სამი პროექტის შესახებ შემოქმედებით სექტორში.

მიმართულება 2.

შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციებისთვის

- საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
    - საქართველოს რეგიონებში მოქმედ იურიდიულ პირებს – საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სოციალურ საწარმოებსა და ინდივიდუალურ ან მცირე მეწარმეებს.
    - საქართველოში მოქმედ შემოქმედებით სივრცეებს, კულტურის ორგანიზაციებს, სტუდიებს, გალერეებს, თეატრებსა და სხვა თანა-შექმნის სივრცეებს.
    - საქართველოს რეგიონებში აქტიურ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ სურვილი უმასპინძლონ სახელოვნებო რეზიდენციებს ან/და დაგეგმონ სხვადასხვა კულტურული აქტივობა.

სავალდებულოა, რომ განმცხადებელი ორგანიზაციის იურიდიული რეგისტრაციიდან გასული უნდა იყოს მინიმუმ ორი წელი და უნდა ჰქონდეს შემოქმედებით ან სამოქალაქო სექტორში მუშაობის მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება. განმცხადებელი ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი არეალი უნდა იყოს საქართველოს რეგიონები.

საგრანტო კონკურსში განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ მხოლოდ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირებს.

3.2 თანამშრომლობითი ინიციატივების შესაძლო ფორმები

ინიციატივების/აქტივობების შესაძლო ფორმების არასრული ჩამონათვალი:

- კულტურის, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ღონისძიებები ან ღონისძიებების სერია, გამოფენა, ფესტივალი ან პერფორმანსი, რომელიც აერთიანებს საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს;
- ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების ჩართულობას და ურთიერთქმედებას შემოქმედებით ცენტრებში (მაგ. კომუნის შექმნის ღონისძიებები, სათემო შეკრებები, საუბრები, დისკუსია და ა.შ.);
- შერჩეულ ხელოვანთა მასპინძლობა რეზიდენციის ფარგლებში;
- და სხვა.

საგრანტო განაცხადი აუცილებლად უნდა მოიცავდეს თანაშექმნისა და მობილობის კომპონენტს, ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესში თემის ჩართულობა.

განმცხადებელი პასუხისმგებელია, რომ საგრანტო განაცხადში წარმოდგენილი ინიციატივა/აქტივობა თავად განახორციელოს.

4. განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა

4.1 განაცხადის ფორმა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის, განმცხადებელმა უნდა მოამზადოს ელექტრონული განაცხადი გოეთეს აპლიკაციის პორტალზე (GAP), შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

თუ განაცხადი შემოგაქვთ საგრანტო **მიმართულება 1. შემოქმედებითი კავშირები ფიზიკური პირებისთვის:**

- ფიზიკური პირების ერთობლივი განაცხადი, რომელშიც უნდა ფიქსირდებოდეს ორი ან მეტი ინდივიდის გაერთიანება;
- წარმოდგენილი აქტივობის/ინიციატივის კონცეპტუალური ნაწილი;
- აქტივობის გეგმა;

- აქტივობის მოსალოდნელი თვალსაჩინო შედეგების აღწერა;
- განმახორციელებელი გუნდის ფუნქციები და პასუხისმგებლობათა გადანაწილება;
- დანართები: პორტფოლიო, განხორციელებული აქტივობების დოკუმენტაცია და ა.შ.

თუ განაცხადი შემოგაქვთ საგრანტო **მიმართულება 2. შემოქმედებითი კავშირები ორგანიზაციებისთვის:**

- განცხადების წარმდგენი ორგანიზაცია;
- ორგანიზაციიდან აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მითითება;
- წარმოდგენილი აქტივობის კონცეპტუალური ნაწილი;
- აქტივობის გეგმა;
- აქტივობის მოსალოდნელი თვალსაჩინო შედეგების აღწერა;
- განმახორციელებელი გუნდის ფუნქციები და პასუხისმგებლობათა გადანაწილება;
- დანართები: ორგანიზაციის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.2 განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა

განაცხადის წარდგენისთვის აუცილებელია:

1. რეგისტრაცია გოეთეს აპლიკაციის პორტალზე (GAP)
2. აპლიკაციის შევსება GAP პორტალზე არსებული ინსტრუქციისა და დამაზუსტებელი კითხვების შესაბამისად

ონლაინ განაცხადის წარდგენის შემდგომ, განმცხადებლები მიიღებენ განაცხადის სისტემაში რეგისტრაციის დასტურის წერილს პორტალზე და მათ მიერ მითითებულ ელ.ფოსტაზე.

ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: support.gap@goethe.de

ონლაინ საინფორმაციო სესია გაიმართება 2024 წლის 27 ივნისს, 16:00 საათზე
იხილეთ სესიის ბმული

შეხვედრის ID: **336 143 198 771**
პაროლი: **qdWzUL**

საგრანტო კონკურსი **შემოქმედებითი კავშირები** ინდივიდებისა და ორგანიზაციებისთვის ცხადდება **2024 წლის 20 ივნისს**

საგრანტო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2024 წლის 7 ივლისი, 23:59** საათი.

5. წარდგენილი განაცხადების შეფასება

შერჩევის კრიტერიუმები:

- შემოთავაზებული აქტივობის კონცეფციის შესაბამისობა საგრანტო კონკურსის ამოცანებთან;
- შემოთავაზებული აქტივობის თემატური აქტუალურობა და მნიშვნელობა ადგილობრივი თემისთვის;
- აქტივობის თანა-შექმნის კომპონენტის წარმოჩენა;
- აქტივობის მოსალოდნელი თვალსაჩინო შედეგები;
- ადგილობრივი თემის ჩართულობის უზრუნველყოფა;
- წარმოდგენილი განაცხადისა და დანართი დოკუმენტების ხარისხი/მართებულობა; მაგ: ყველა სავალდებულო კითხვაზე პასუხი გაცემულია ნათლად და სრულყოფილად.

6. საკონტაქტო ინფორმაცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მოცემულ საკონტაქტო ელ. ფოსტაზე, 2024 წლის 30 ივნისამდე.

შემოქმედებითი კომპასი
creativecompass@goethe.de